

# ახალი თაობა



თამაზ აქუბარდია: „შეძრული ვარ იმ სილინაგებით, ვერაფრით ღავიძინა, ვიბრძოლებ სიმატლის დასაცავად“



გვ.2

26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი  
კურტიანე  
ქალთა  
ბრწყინვალეობა  
და  
სიღატაკე  
ნანილი

ფასი გაზუთთან ერთად 11 ლარი

შაბათი – კვირა, 28 – 29 ოქტომბერი, 2017

№256 (7490)

ფასი: 50 თეთრი

## „ელიაშა, დაუღილაბუი, კაკოტის ფასი მანქანის ფასს გაუტოლდა“



გვ.3

სააპელაციო სასამართლომ თამაზ მეჭიაური თიანეთის მერად გამოაცხადა

### „პატრიოტები კალაქის დაკვეთით კვირიკაშვილის გადაღობას მოითხოვენ“



გვ.5

ლადო სადღობელაშვილი: „რუხადემ პრემიერობაზე უარი თქვა, ახლა გიორგი ბაჩიაშვილთან მიდის მოლაპარაკება“



გვ.2

### „მოსამართლემ თქვა, რომ პოლიციელის მიერ აღვოკატის სება 10.000 ლარი ღირს“

გელა ნიკოლაიშვილი: „პოლიციელ კვირკვიას განაჩენი, რომელმაც აღვოკატ მდინარაძეს სცემა, ძალიან ცუდი სიგნალია“

### რატომ გაასხვისა თავდასვის საინინსტრომ სავაერო რაიონი

გვ.4



### „კალაქის ყველაზე მეტად მაამებლებმა შეიძლება ავნონ“

გვ.3



ქართული მარში ლევან კობიაშვილის გადადგომას და საფეხბურთო ნაკრების დათხოვნას ითხოვს

### აკორონიკა გვ.6 თბილისის რომელ ქუჩებში ჩატარდება მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდა



„ბევრი ბურისტი ჩამოდის, მაგრამ ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო აღვიღებ ვერ ვაჩერებთ“

### საიდან ჩნდება გყვინა ქართულ სუნელებში?



2 კალაქი: „საორბული მოედნების, პარკების, სკვერებისა და საზოგადოებრივი სივრცეების ხარჯზე სამხედრო ნებართვები აღარ გაიხსნა“

4 მარგველაშვილი: „უკანონოებს ამგვარი კანონი სჯობს“

5 კოლაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა კიდე უფრო დაიშლება“

4 შსს მძღოლებს მიმართავს













# 28 ოქტომბერს ბაქოში ხალხმრავალი საპროტესტო აქცია იწყება

### დაუნესებს თუ არა აშშ სანქციებს აზერბაიჯანს

#### კონგრესის რეპრეზენტის პროექტი აფგან მუსიკოსის აგან მუხტარის სახეზე



### მარიამ მჭედლიშვილი

28 ოქტომბერს ბაქოში დაგეგმილია ხალხმრავალი საპროტესტო აქციის გამართვა. მისი მოთხოვნებია: „დასრულდეს კორუფცია“, „თავისუფლება პოლიტპატიმრებს“.

მიტინგი დიდი ხანია შეთანხმებულია ქალაქის მმართველობასთან და ამაზე ნებართვა არსებობს.

მომავალ მიტინგს აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა დაუკავშირა სამი მებრძოლი რადიკალი ისლამისტის ლიკვიდაცია.

უსაფრთხოების სამსახური ირწმუნება, რომ სპეცოპერაციისას დახოცილი რელიგიური რადიკალები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მოქმედ ერთ-ერთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან, გეგმავდნენ ტერორისტულ აქტს 28 ოქტომბერს დაანონსებულ მიტინგზე.

ტერორისტებმა შერაცხული პირების ბინიდან, ოფიციალური მონაცემებით, ამოღებულია „მოლოტოვის კოქტეილი“, ხელყუმბარები და მაკაროვის პისტოლეტი.

დემოკრატიული ძალების საბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც აქციის ორგანიზატორები არიან, აზერბაიჯანის სპეცსამსახურების ამ ვერსიას საეჭვოდ მიიჩნევენ. მათ ვერ გაიგეს, რა მოტივი ამოძრავებდათ რადიკალებს, რომლებსაც მიტინგზე ტერორისტული აქტი ჰქონდათ ჩაფიქრებული. ოპოზიციის აზრით, თუ ასეთი რამ მართლაც იგეგმებოდა, მაშინ ტერაქტის მოწყობა რადიკალების ცოცხლად დარჩენილ თანამზრახველებსაც შეუძლიათ.

ოპონენტების შეფასებით, ხელისუფლებას ამ ვერსიის დაწვრივით სურს ხალხის დაშინება. ამასვე ემსახურება გავრცელებული ინფორმაციები შეიარაღებული ინციდენტებისა და ციხიდან პატიმრების გაქცევის შესახებ.

პოლიტპატიმრებისა და კორუფციის თემაზე ბაქოში საპროტესტო აქცია ოქტომბრის დასაწყისშიც გაიმართა. მაშინ მომიტინგეებმა მოითხოვეს ევროპული პოლიტიკოსების მოსყიდვის სკანდალური საქმის გამოძიება. არსებული ინფორმაციით, რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანის პირველი პირები ყალბი კომპანიების საშუალებით ევროსტრუქტურებში აგზავნიდნენ დიდ თანხებს. ამის შედეგად ისინი ელოდნენ ლიბილობას ევროსტრუქტურებიდან იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდებოდა.

უფლებადამცველებისა და იურისტების მონაცემებით, სექტემბრის დასაწყისში აზერბაიჯანში 158 პოლიტპატიმარი აღირიცხა. მათ შორის ათი უფრანგისა.

ერთ-ერთი მათგანის, აფგან მუსთარლის გამო საერთაშორისო სკანდალში საქართველოც გაეხვია. როგორც ცნობილია, იგი ოჯახთან ერთად თბილისში ცხოვრობდა და 29 მაისს თბილისიდან მოულოდნელად აღმოჩნდა ბაქოში იზოლაციაში. ევროპარლამენტმა მის გაუჩინარებას მაშინვე უწოდა გატაცება და საქართველოსგან ამ საქმის ოპერატიულად გამოძიება მოითხოვა. გამოძიება ახლაც მიმდინარეობს. საქართველო უკვე დატოვა აფგან მუსთარლის ცოლ-შვილი. ორი დღის წინ აფგან მუსთარლის ტალინში მიანიჭეს პაველ შერემეტის სახელობის პრემია. ჯილდო ენიჭებათ მამაცობისა და ჟურნალისტური სტანდარტების ერთგულებისათვის ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების წარმომადგენლებს.

ეს მოხდა ესტონეთში გამართულ სამოქალაქო ფორუმზე — „აღმოსავლეთ პარტნიორობა“. წინასწარი დაკავების იზოლაციაში მყოფ აფგან მუსთარლის პრემიის შესახებ აცნობეს. მან ამისათვის მისასალმებელი სიტყვაც დაწერა, მაგრამ ადვოკატს ეს მიმართვა ბაქოში ჩხრეკისას ამოუღეს. პრემია მუსთარლის მეუღლემ, ლილია მუსტაფაევა მიიღო. აფგან მუსთარლის საქმე ნახევრებით იმ რეზოლუციის პროექტშიც, რომელიც კანონპროექტთან ერთად ამერიკელმა კონგრესმენებმა მოამზადეს. ისინი მოითხოვენ, რომ აზერბაიჯანის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ, სანქციები დაუნესდეთ. საუბარია მაგნიტსკის გლობალური კანონის გაფართოებაზე. მაგნიტსკის აქტის მიღების შემდეგ ჩაითვალა, რომ აშშ-ში შესვლა და მის ფინანსურ ინსტრუქტორთან წვდომა უნდა აეკრძალოს ყველას, ვინც უზუზად არღვევს ადამიანის უფლებებს.

აფგან მუსთარლის სკანდალში გახვეულ საქართველოს სანქციებს ალბათ არ დაუნესებენ, თუმცა საქმის გამოუძიებლობა ქვეყნის იმიჯს დიდ დარტყმას მიაყენებს.

# კატალონიის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა

### მადრიდმა კატალონიაში პირდაპირი მმართველობით უპასუხა

კატალონიის პარლამენტმა 27 ოქტომბერს მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც ესპანეთისგან კატალონიის დამოუკიდებლობას აცხადებს.

დეკლარაციის ხმა 72-მა დეპუტატმა მისცა. წინააღმდეგი იყო 10. ორმა თავი შეიკავა. დანარჩენმა დეპუტატებმა კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადეს. სულ კატალონიის პარლამენტში 135 დეპუტატია.

კენჭისყრა პარლამენტში რეგიონის მეთაურის, კარლეს პუჩდემონის განცხადებიდან მეორე დღეს გაიმართა. პუჩდემონმა ოფიციალურ მადრიდს ვადამდე არჩევნებზე უარი უთხრა.

ჩვენ ვაფუძნებთ კატალონიის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის საფუძველზე, — ნათქვამია რეზოლუციაში, რომელიც პარლამენტის სპიკერმა კენჭისყრის დაწყებამდე წაიკითხა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის საპასუხოდ ესპანეთი რეგიონში პირდაპირი მმართველობის დანერგვას გეგმავს.

კატალონიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი 1 ოქტომბერს ჩატარდა. ესპანეთის ხელისუფლებამ პროცესის ჩაშლა სცადა. ხმის მიცემა ესპანურ პოლიციასთან დაპირისპირებისა



და შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა. ბოლო ინფორმაციით დაშვდა, სულ ცოტა, 800 ადამიანი.

რეფერენდუმის შემდეგ, კატალონიამ ცალსახა პოზიცია არ დაიკავა და მკაფიოდ არ უთქვამს, აცხადებდა დამოუკიდებლობას თუ არა. ამის ნაცვლად, რეგიონულმა მთავრობამ ესპანეთის ხელისუფლებას მოლაპარაკებები შესთავაზა.

მოგვიანებით ესპანეთის სენატმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის 155-ე მუხლის ამოქმედებას, რაც

კატალონიის რეგიონში მადრიდის პირდაპირი მმართველობის დამყარებას გულისხმობს.

ეს მუხლი კატალონიის რეგიონის მთავრობის და პარლამენტის დათხოვნას გულისხმობს. ასევე, 6 თვის განმავლობაში დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. ოფიციალური მადრიდის დაექვემდებარებაში გადავა სამართალდამცავი უწყება, საზინა და სახელმწიფო მედია. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 155-ე მუხლი სენატის ისტორიაში პირველად ამოქმედდა.

პრემიერმა რახოიმ ესპანეთის მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

# ქენედის მკვლელობასთან დაკავშირებული საიდუმლო დოკუმენტები გამოქვეყნდა



აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქენედის მკვლელობასთან დაკავშირებული 2.800 საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა. მათ დღის სინათლე პირველად იხილეს და ჯერჯერობით უცნობია, შეიცავენ თუ არა რაიმე საიდუმლო ინფორმაციას.

ოფიციალურად ქენედის მკვლელობა ლი პარკი ოსვალდი ცხადდება. მიუხედავად ამისა, გამოითქმება სხვა ვერსიებიც, კერძოდ ის, რომ პრეზიდენტი ქენედი ორგანიზებული შეთქმულების მსხვერპლი აღმოჩნდა და მკვლელობის ერთ-ერთი შემკვეთი კუბის დიქტატორი ფიდელ კასტრო იყო.

— მე იმისი მომხრე ვარ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნდეს, — განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა.

# აშშ-მ ფინიანის მიმართ დანერგული სანქციები გააფართოვა

აშშ-მ ჩრდილოეთ კორეის მიმართ დანერგული სანქციები გააფართოვა. ახლა სანქციების ქვეშ ექვევა ჩრდილოეთ კორეის 7 მაღალი რანგის ჩინოვნიკი, აგრეთვე სამეურნეო თუ სახელმწიფო სტრუქტურები. სანქციები ფინიანის ადამიანის უფლებების დარღვევის გამო დაუნესდა.



# ტილერსონი: „ასადის ხელისუფლებაში დარჩენა გამოირიხსულია!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა რაქას ალებას მაღალი შეფასება მისცა. მან განაცხადა, რომ ამით სირიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა. ახლა ახალი, დემოკრატიული სირიის მშენებლობა უნდა დაიწყოს.

— ახალ სირიაში არც ასადისა და არც მისი ოჯახისთვის ადგილი არ არის, — განაცხადა ტილერსონმა.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ასადი მხარს რუსეთი უჭერს. ჯერჯერობით ხელისუფლებასაც ამის წყალობით ინარჩუნებს.

— მიუხედავად მოსკოვის მხარდაჭერისა, ასადი ხელისუფლებაში ვერ დარჩება. როგორც ან როდის მოხერხდება მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება? დღეს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია. უდავოა ერთი: ასადი წავა და ეს გარდაუვალია, — ამბობს ტილერსონი.

# რუსეთი თალიბანს ეხმარება



ნატოს გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი პეტერ პაველი აცხადებს, რომ რუსეთი ექსტრემისტულ ორგანიზაცია „თალიბანს“ სანავიით ამარაგებს. რუსეთის ბრალს სდებს ავღანეთში აშშ-ის ჯარების სარდალი, გენერალი ნიკოლსონიც. — მოსკოვი ავღანეთის საშინაო საქმეებში კვლავაც ერევა, რითაც ამ ქვეყანაში მშვიდობის დასადგურებას ხელს უშლის, — ამბობს ნიკოლსონი.

# ყირგიზეთს ახალი დელეგაციის აქტი

ყირგიზეთის პრეზიდენტმა ატამბაევა სელი მოანერა განკარგულებას, რომლის ძალითაც, ქვეყანაში სსოვნის დღის აღნიშვნა მოხდება. საუბარია 1916 წლის აჯანყებაზე, როცა შუა აზიაში რუს დამპყრობლების წინააღმდეგ მასობრივმა აჯანყებამ იფეთქა. რუსეთის არმიამ ის სისხლში ჩაახშო.

ატამბაევა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ წმინდა უნდა იყოს იმ გმირების სხონა, რომლებიც 1916 წლის აჯანყებისას დაიღუპნენ. — ეს გმირები რომ არა, დღეს დამოუკიდებელი ყირგიზეთი არ იარსებებდა, — თქვა ატამბაევა.

# მოსკოვი ოპოზიციონერი სიბანკოვი დააპატიმრა

მოსკოვის პოლიციამ ორგანიზაცია „ახალი ოპოზიციის“ აქტივისტი ციგანკოვი დააპატიმრა. ის ქუჩაში გამოვიდა პლაკატით, რომელზეც ეწერა: პუტინი სიკვდილია! სასამართლომ ციგანკოვის საქციელს ხულიგნობის კვალიფიკაცია მისცა და 15 დღით პატიმრობა შეუფარდა. ვლადიმერ ყირინოვსკი მიიჩნევს, რომ სასჯელი მეტის-მეტად ლმობიერია. — სტალინის დროს ვინმეს ასეთი პლაკატით ქუჩაში გამოსვლა რომ გაეებდა, ალბათ ცოცხლად დამარხავდნენ! პუტინი მეტისმეტად ლმობიერია! — ამბობს ყირინოვსკი.











